ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N5

15 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შენობის მე-2 სართულზე
არსებული სამკითხველო დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეხუთე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან 30 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ნ.ბიბილეიშვილი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი: დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“): „მისასალმებელია, პოზიციისა და ოპოზიციის თანამშრომლობა იმ საქმეში, სადაც ხალხის ინტერესები შედეგამდე მიდის.

ყოველთვის არის საერთო ენა გამონახული და შედეგიც მიღწეული. მე მინდა, ჩვენს კოლეგებს მადლობა მოვუხადო იმისათვის, რომ დარიგდა სამგზავრო ბარათები. ჩვენი კოლეგები პერსონალურად გვიდგანან გვერდით და ძალისხმევას არ იშურებენ. იყო დახმარება დევნილის მიმართ, რომელსაც კონკრეტული დახმარება ესაჭიროებოდა. დღეს ბატონ დიტო მხეიძესთან ერთი დევნილი ბავშვი მივიყვანეთ და მადლობა მას დახმარებისათვის. მისასალმებელია, როდესაც პოზიცია ოპოზიციის თანამშრომლობა ერთობლივი და შედეგიანია. ეს არ შემეძლო, რომ არ გამეჟღერებინა. გუშინ აღმაშენებლის გამზირზე გავიარე, ნამდვილად სრულდება, სარწყავი სისტემა ჩართული იყო ტესტირების რეჟიმში. კარგად გამოვიდა და არაფერია ისეთი, რომ რაღაც ხარვეზები იყოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დიდი მადლობა ბატონო კობა. ჩვენც არაერთხელ გაგვიკეთებია ამ თემაზე განცხადება. მივესალმებით თანამშრომლობის ფორმატს. ამ დღეების განმავლობაში ნათლად დავინახე ერთი რამ. რიგ შემთხვევებში, ჩვენი ოპონენტები სარგებლობენ მოკლევადიანი პერსპექტივებით, რომ მოსახლეობა შეიყვანონ შეცდომაში. როდესაც საუბრობენ საკრებულოს უმრავლესობის არაკომპეტენტურობაზე, ცოტა უხერხულია ეს ფაქტი ბატონებო. გუშინდელი კომისიის სხდომაზე, საკმაოდ კარგი ფორმატი იყო ურთიერთობის, შეკითხვების და მიღებულია გადაწყვეტილება დამატებითი შესწავლის მიზნით, მოხდეს რიგი მიმართულებების აუდიტი სატრანსპორტო პოლიტიკისა და იმ ნაწილის, რომელიც გადასახადების გაზრდას ეხება. ჩვენი ოპონენტები, როდესაც საუბრობთ, უნდა გაიხსენოთ წარსული, რომელიც ამ მიმართულებით გაქვთ. როდესაც საუბრობთ, რომ მოწყვლად ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ სუბსიდირების ნაწილში მუნიციპალიტეტი შევიდეს და ტარიფი ან გაუუქმდეს, ან გაუნახევრდეს, ამ ნაწილში ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მიღებული გადაწყვეტილებებით. ჩვენ შეგვიძლია ისეთი არგუმენტები მოვიყვანოთ, რომელიც უკვე დადგენილი პრაქტიკაა, იგივე საკრებულოს 177-ე და 180-ე დადგენილება. ამ დადგენილებით ჩვენ, როდესაც მუნიციპალურ ტრანსპორტზე გავაკეთეთ აქცენტი, მთელი რიგი მოქალაქეების ჯგუფმა მიიღო შეღავათი. საკრებულოს 177-ე დადგენილება

ეხება სოციალურად დაუცველი მოქალაქეების შეღავათებს. აღნიშნული დადგენილება ეხება შშმ პირებს, მრავალშვილიან დედებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. იმ სხდომებში, როცა ეს დადგენილებები იქნა მიღებული, თქვენ მონაწილეობაც არ გაქვთ მიღებული, მხარიც არ გაქვთ დაჭერილი ამ დადგენილებებისათვის, პოზიციაც არ გამოგიხატავთ. საკრებულოს იმ გადაწყვეტილებისათვის, რომლითაც შშმ პირები 100 %-ით უნდა ყოფილიყვნენ გათავისუფლებულები ტრანსპორტის გადასახადისაგან, თქვენ მხარი არა გაქვთ დაჭერილი. არ ეთანხმებოდით ამ ნაწილს თუ რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში? დღეს როდესაც საუბრობთ საკრებულოს უმრავლესობის არაკომპეტენტურობაზე და ეს საკითხი პოლიტიკური სპეკულაციის ნაწილად აქციეთ, ამ ნაწილში თქვენი მხარდაჭერა არ გამოგიხატავთ. თუ თქვენ მემკვიდრეობით არ ხართ იმ ფრაქციის წარმომადგენლები, რომლებიც წინა საკრებულოში მოღვაწეობდნენ, ეს უკვე სხვა თემაა, მაშინ გაემიჯნეთ იმ ნაწილს. უხერხულია, როდესაც საუბრობთ მოქალაქეების შეღავათებზე, მაშინ, როდესაც თქვენი ფრაქციის წარმომადგენლებს მხარიც არ დაუჭერიათ ამ გადაწყვეტილებისათვის. როდესაც სპეკულირებთ მოქალაქეების ინტერესებით, გახსოვდეთ, რომ 30000 მოქალაქე სარგებლობს ამ გადაწყვეტილებით დღეს. 30000 მოქალაქეს აქვს შეღავათი და ამ გადაწყვეტილებას თქვენმა ფრაქციამ თავის დროზე მხარი არ დაუჭირა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ბ.ქვაჩაკიძე:** „ადამიანები უკიდურესი სიღარიბის გამო ტოვებენ ქალაქს და პენსიონერი 80 თეთრს როგორ გადაიხდის სამგზავროს, ამიხსენით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „უმრავლესობა და მმართველი ძალა, მოქალაქეების ინტერესს და მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფების ინტერესს, რომ იზიარებს, სწორედ ამიტომ მოქმედებს ეს ორი დადგენილება. დამატებით თუ რამე დაგვჭირდება და ამას მოქალაქეების ინტერესი მოითხოვს, ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც მოქალაქეების მიერ იქნება ნაკარნახევი. გუნდის თითოეული წევრი იქნება პასუხისმგებელი იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც მიიღებს საკრებულო. თუ რომელიმე სოციალური ჯგუფის მდგომარეობა

გაუარესდება, მზად ვიქნებით, განვიხილოთ და ის გადაწყვეტილება მივიღოთ, რომელიც მას მდგომარეობას შეუმსუბუქებს. ამის ნათელი მაგალითია ეს ორი გადაწყვეტილება, დანარჩენი არის თქვენი სპეკულაციის ნაწილი და მორალური უფლებაც არ გაქვთ ილაპარაკოთ ხალხის ინტერესებზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი**: „100 %-ით რომ იზრდება ტარიფი, ესაა მოქალაქეების ინტერესი? შეკითხვაზე გამეცით პასუხი, მაინტერესებს, მოქალაქეების ინტერესი არის თუ არა ის, რომ სამგზავრო ტარიფი 100 %-ით იზრდება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „სად არის გაზრდილი ტარიფი? საკითხი არ არის სხდომაზე შემოტანილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი**: „შემოვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როგორ შემოვა და რა ფორმით, მაგაზე ვიმსჯელებთ ერთად და მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „მე ერთი წელი მომიწია ოპოზიციაში ყოფნა და ძალიან კარგად მესმის ყველა ოპოზიციონერის. თუმცა, მას აქვს ერთი კომფორტი, ყველაფერი თქვას, წამოიძახოს და მის უკან ნაკლებია პასუხისმგებლობა. ბატონო გიორგი, თქვენი ინტერვიუ ვნახე გუშინ, თქვენ ხართ საკმაოდ სიმპათიური და კარგად აღზრდილი ახალგაზრდა, მაგრამ პირდაპირ გეკითხებით, რაში ხართ ჩემზე კომპეტენტური: ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის მიმართულებით? რატომ გვაყენებთ შეურაცხყოფას? მე ბევრი ცოდნა მაკლია, მაგალითად ხელოვნების, მუსიკის მიმართულებით, მაგრამ აქ არიან ამ სფეროს კარგი მცოდნენი და რატომ მიგაჩნიათ, რომ თქვენზე არაკომპეტენტურები ვართ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „ბატონო ირაკლი, რომელი მოწვევის საკრებულოზეა საუბარი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „წინა მოწვევის საკრებულოზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „წინა მოწვევის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობიდან“ სულ ოთხი ადამიანი იყო წარმოდგენილი. არავინ არავის არ ემიჯნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ, რომ ყოფილიყავით, მხარს დაუჭერდით? იგივე გადაწყვეტილების წინაშე, რომ იყოთ, მხარს დაუჭერდით, თუ არა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „მოდით, მაშინ შეგახსენებთ, როდესაც სოციალურ პაკეტებს იღებდით, „ნაციონალური მოძრაობა“ შემოვიდა წინადადებით, რომ კონკრეტული ჯგუფებისათვის, მაგალითად 70 წელზე მეტი ასაკის პირებისათვის, მგზავრობა ყოფილიყო უფასო. თქვენს პასუხს შეგახსენებთ, რომ ამ წუთში, თქვენ თანხა არ გაქვთ იმისი, რომ ამ ადამიანებს გადასახადი მოვუხსნათ. ბიუჯეტში არ იყო საკმარისი თანხა. ისე გამოვიდა გუშინდელი საუბრიდან, რომ ერთი მოქალაქის მგზავრობა 1.20 თეთრი ჯდება. კარგად გაიხსენეთ, იყო თუ არა ასე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ხელთ მიჭირავს საკრებულოს სხდომის ოქმი, ვერც ერთი კომისიის ოქმში ვერ ამოიკითხავთ მონაცემს, სადაც თქვენი ფრაქციის წევრები საუბრობენ კონკრეტული მოქალაქის ინტერესებზე, მაშინ როდესაც 30 ათას მოქალაქეს შეეხო შეღავათი, თქვენი ფრაქციის წევრებმა ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „ბატონო ირაკლი, ერთი

მგზავრის გადაყვანა ჯდება 1.20 თეთრი, როგორც ბატონი იუზა გვეუბნებოდა და მაგრამ კეთილი ნებით ვახდევინებთ, მხოლოდ 80 თეთრს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჯერ არავის არ ვახდევინებთ 80 თეთრს. გუშინდელი კომისიის სხდომაზე, ბატონმა იუზამ და ჩვენ ვიმსჯელეთ საკითხზე, რომელიც ეხება ღირებულებას. თქვენ დაგისახელეს ფაქტობრივი ციფრი, თუ რა უჯდება ერთი მგზავრის გადაყვანა სატრანსპორტო კომპანიას. ეს იყო ფაქტობრივი მონაცემები. ამ ორი წლის მანძილზე მგზავრობენ მოქალაქეები 40 თეთრად და მათ შორის, სუბსიდირება ეხება 30 ათას მოქალაქეს. სუბსიდირების ნაწილში მუნიციპალიტეტი შედის დაახლოებით 6 მილიონ ლარში. იმისათვის, რომ მგზავრები არ შეფერხდნენ გაუმჯობესებული სერვისის პირობებში, პასუხისმგებლობა აიღო მუნიციპალიტეტმა. 2022 წელს შემოვიყვანეთ ახალი ავტობუსები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბიუჯეტი ივსება გადასახადებით, იმ თანხებიდან უკეთებთ სუბსიდირებას და ამას მოქალაქეებს ამადლით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არავის არაფერს ვამადლით, სხვათა შორის, არც კომპეტენციას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ბ.ქვაჩაკიძე:** „მე ვიყავი წინა მოწვევის საკრებულოს წევრი, მაინტერესებს როდის იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გადაწყვეტილების მიღების თარიღია 27 მაისი, 2021 წელი. სხდომას არ ესწრებოდნენ საკრებულოს ოპოზიციური დეპუტატები: რ.ქვაჩაკიძე, ბ.ბრეგაძე, გრ. შუშანია, ვ.კლდიაშვილი, კ.რატიანი, დ.გოგისვანიძე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ბ.ქვაჩაკიძე:** „არ ვესწრებოდით და ეს იყო თქვენი მთავრობის დამსახურება. ბოიკოტის რეჟიმში ვიყავით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს იყო ზუსტად სპეკულირების კლასიკური მაგალითი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ კი არავისთვის არაფერი დაგვიმადლებია. მე უბრალოდ, კომპეტენციის ხარისხში გავუსვი ხაზი, ესე იგი, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომელიც მოქალაქეს ეხება. თქვენ ამ დროს არ იღებთ მონაწილეობას ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში და აპელირებთ მოქალაქეების ინტერესებზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ბ.ქვაჩაკიძე:** „ბატონო ირაკლი, ისე გამოდის, რომ თქვენ „აპრავებთ“ 80 თეთრიან ღირებულებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „სპეკულირებთ, როგორ გიპასუხოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ბ.ქვაჩაკიძე:** „რატომ შემოიტანეთ ეს საკითხი?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ის, რომ 30 ათას მოქალაქეს უარს ეუბნებით და ბოიკოტს უცხადებთ ეს გასაგებია, რეგლამენტიც არ იცით ბატონო რომან. საკითხი შემოტანილია და დევს განსახილველად. რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. არ არის ეს საკითხი დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში. კომპეტენციას, როცა გვიწუნებთ, რეგლამენტი მაინც უნდა იცოდეთ, რა არის. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „როდესაც კომპეტენციაზე საუბრობთ, თუ პროფესიონალურად იყო გაკეთებული, რატომ გაიტანეს საკითხი უკან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე მოქალაქეებს ვესაუბრები, რომელიც ჩვენ გვისმენს, თქვენ არა, გადაწყვეტილება იქნება მიღებული მოქალაქის ინტერესიდან გამომდინარე. მათ შორის

შეღავათებზე, მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერაზე, ღირებულებაზე, იქნება: 80, 60 თუ საერთოდ 30 თეთრი, ყველა გადაწყვეტილებას ექნება ფინანსური და არგუმენტირებული დასაბუთება, თუ რატომ ვიღებთ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. ჯერ არ ვიცით რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკრებულო. თუ რატომ შეაჩერა საკრებულომ, გეტყვით, რომ გვაქვს პასუხისმგებლობა მოქალაქეებისა და მათი ინტერესების წინაშე. სწორედ ამ საკითხის განხილვაზე მოახდენენ დარგობრივი კომისიები განხილვას. საკითხი არაკომპეტენტურობის გამო კი არ შეგვიჩერებია, პირიქით, ნაჩქარევი გადაწყვეტილება, რომ არ მიგვეღო, რომელიც დააზარალებდა ან გააუარესებდა რომელიმე მოქალაქის სოციალურ მდგომარეობას, ამის გამო გავხადეთ დამატებითი მსჯელობის საგანი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ბატონო ირაკლი, არ ვიცი, ეს ეგრეთ წოდებული პოლიტიკური ფანდია, თუ რა, საკითხის არსიდან უკვე მერამდენედ ვექტორი გადაგაქვთ მეასეხარისხოვან საკითხზე. გაღმა შეედავეს პრინციპით, კლასიკური სპეკულაციის მაგალითია, როდესაც დღევანდელ კონკრეტულ პრობლემაზე ვსაუბრობთ. ვსაუბრობთ ტარიფებზე და თქვენ ორი წლის წინანდელი ოქმი გაქვთ წამოღებული. ჯერ თქვით, მხარი არ დაგიჭერიათო. სხდომაზე არ დასწრება ბოიკოტის გამო და მხარის არ დაჭერა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს არის კლასიკური სპეკულაცია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „იგივე გადაწყვეტილება, რომ დადგეს მხარს დაუჭერთ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „დადგეს და ვიმსჯელოთ. ჩვენ ვიმოქმედებთ მოქალაქეების ინტერესებიდან გამოდინარე. გავიდეთ ქუჩაში და გამოვკითხოთ საზოგადოება, ერთი ადამიანი თუ დაგიჭერთ ამაში მხარს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენგან განსხვავებით ჩვენ დავდივართ და მიტოვებული არ გვყავს მოქალაქეები, ერთი მაჟორიტარული ოლქი, რომ გყავთ დატოვებული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე:** „ბატონო ირაკლი, თუ დაიწყეთ მაგ თემაზე საუბარი, იმ მოსახლეობას, რომელიც თქვენთან მოდის თხოვნით, პირდაპირ ეუბნებით ნიკეას, ძელქვიანისა და ავტოქარხნის მოსახლეობას, თქვენმა მაჟორიტარმა შეგიტანოთ ეს საკითხი დღის წესრიგში. თქვენმა მაჟორიტარმა მოგიგვაროთ გზის პრობლემა და აგზავნით ჩვენთან. მეორე პასუხი: თქვენ იღებთ იმ შედეგს, რაც დაიმსახურეთ. ანალოგიური ტექსტებით მოძრაობენ თქვენი პარტიის აქტივისტები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო დავით, თქვენ მოგმართავთ, ისტორიული წარსულიდან გამომდინარე. თუ დადგება დღის წესრიგში, რომ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს დაეწესოს შეღავათი ტრანსპორტის ღირებულებისა, დაუჭერთ მხარს თუ ბოიკოტის რეჟიმში გადახვალთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „ანუ, მაინც გაზრდას ვაპირებთ, ასე გამოდის. თქვენ ლაპარაკობთ იმ სოციალურ ჯგუფებზე, რომელიც უკვე სარგებლობს შეღავათით. ქვეყანაში, სადაც 900 ათასი სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები სოციალურად დაუცველი ადამიანია, საიდან დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში? “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ისევ გიმეორებთ შეკითხვას, თუ დადგება დღის წესრიგში, რომ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს დაეწესოს შეღავათი ტრანსპორტის ღირებულებისა, დაუჭერთ მხარს თუ ბოიკოტის რეჟიმში გადახვალთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გპასუხობთ. პუნქტი „ა“ და პუნქტი „ბ“. პუნქტი „ა“ - ასეთი შეკითხვა, რომ დაისვა ჩვენი მხრიდან, თქვენ დაგვიწუნეთ, დღის წესრიგს არ ფლობთო, არაკომპეტენციააო. ახლა გადიხართ დღის წესრიგის ფარგლებს გარეთ, იგივეს აკეთებთ, რაც ჩვენ დაგვიწუნეთ. პუნქტი „ბ“ - თუ დადგება შეღავათის საკითხი, რა თქმა უნდა, დავუჭერთ მხარს. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „მეც ვუერთდები ქალბატონი მაიას გამონათქვამს. თუ ჩვენს არაკომპეტენტურობაზე გაქვთ საუბარი, ასე ადვილად ნუ გადავუსვამთ ერთმანეთს ხაზს და შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ პიროვნებას. შეკითხვა მაქვს, 30 ათასი ადამიანი სარგებლობს სუბსიდირებით. გთხოვთ, დამისახელოთ თქვენი მმართველობის პერიოდში, ვის ჰქონდა შეღავათი ტრანსპორტით მგზავრობის, მხოლოდ ერთი კატეგორია დამისახელეთ, ან რა ტრანსპორტით სარგებლობდნენ, ფეხი, რომ უვარდებოდათ იატაკში, იმ ტრანსპორტზე ლაპარაკობთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „საკუთარი მეზობელი ამბობდა, ვინაა ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატიო და თქვენ ვინმეს კომპეტენციაზე ლაპარაკობთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „მე მეუბნებით მაგას, თქვენ მეზობელს ჰქონია პრობლემა, რომ არ იცის, ვინაა მისი მაჟორიტარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „ვინ იყო ბატონი იუზა მანამდე, წინა ხელისუფლებაში, იმაზე გამეცით პასუხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ ვინ იყავით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე ვინ ვიყავი და ვქმნიდი რაღაცეებს, ბაგრატის რეაბილიტაცია და ასე შემდეგ. ძალიან ბევრ რაიმეს, რასაც დღესაც უყურებთ და არ მიგიმატებიათ თქვენ არაფერი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო კახა, არ მინდა პოლემიკაში შესვლა. თქვენ რასაც ქმნიდით, ჩაიხედეთ თქვენს წარსულში. აქ ამ დარბაზში ზის ერთი პირი, რომლის ძმაც რა ფორმაში და როგორ მოაქციეთ, ეს თემა გაიხსენეთ კარგად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, ცოტა უხერხულია მაგ თემაზე საუბარი, როცა პოლიტიკური პატიმრობით გამოსული კაცი ზის დარბაზში, ბატონ კახაზე მაქვს საუბარი და მიზეზი ყველამ იცით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რაზეც დამიჭირეს, ყველამ კარგად იცის და ბოლოს სახელმწიფომ განრიდება გამიკეთა, იმიტომ რომ უდანაშაულოდ მცნო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დანაშაული აღიარეთ? აბა განრიდება ისე როგორ მოხდებოდა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „არ მიღიარებია, ისე გამიკეთეს განრიდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ მიერ მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი, თქვენისგან განსხვავებით ბევრად ჰუმანურია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „იმ პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც გვამებზე დარბოდნენ, იყვნენ სისხლისმსმელები, თურმე, მათ უფრო შეტკივათ გული მოქალაქეებზე, ვიდრე ჩვენ. რაც შემოსული ვართ პოლიტიკაში, მართლაც მოქალაქეებზე ზრუნვის მეტი არაფერი გვიკეთებია. თქვენ განსხვავებული აზრის მიუღებლობა ყოველთვის გქონდათ, ამის გამო, მარტო კი არ ჩაგრავდით, ციხეებშიც სვამდით მოქალაქეებს. გაიხსენეთ გირგვლიანი, რობაქიძე, მოლაშვილი და ძალიან ბევრი პატიმარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მე არ ვილაპარაკებ 9 წელზე, არც სხვა არაფერზე, უბრალოდ, ერთ რამეს გეტყვით, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, გულში მაინც დამეთანხმებით, რომ ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ტრანსპორტის საფასური

მოიმატებს თუ არა, ის ხალხი, ვინც სარგებლობდა 100 %-იანი შეღავათით, მაინც ისარგებლებს ამ შეღავათით. მაქსიმალურად ბევრს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არამარტო უფასოდ, არამედ, კომფორტაბელურად ვიმგზავროთ. მინდა იცოდეთ, რომ საკრებულოში მიღებული ყველა გადაწყვეტილება მაქსიმალურად მორგებული იქნება საზოგადოების ინტერესებზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ჩვენს გუნდში იმდენად კომპეტენტური ადამიანები არიან, მე ვერასოდეს ვერ მივალ მათთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ერთმანეთს შეურაცხყოფა მივაყენოთ. ბატონმა გიორგიმ თქვას, რომ თავის სიტყვები უკან მიაქვს. პირადად არ გამცა პასუხი, მაგრამ ჩათვალოს, რომ მიღებულია.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-5 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 15 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და იურიდიულ საკითხთა კომისიების დასკვნების გათვალისწინებით, რიგი დეტალების დაზუსტებისა და სრულყოფის მიზნით, დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა პირველი, მე-2 და მე-3 საკითხები: 1) „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“; 2) „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; 3) „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-5 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული №21 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებისა და საინვესტიციო ვალდებულების ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

დღის წესრიგის პროექტის შესახებ, საკრებულოს წევრების მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს რიგგარეშე მე -5 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე- 5 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის**

საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 15 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულის ბოლოს, ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის მე-3 მუხლში ფრაზა: „წლიური სარგებლობის ქირის“, შეიცვალა ფრაზით: „ქონების სარგებლობის წლიური საიჯარო ქირის“. გამომდინარე აქედან, განკარგულების პროექტის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემია“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412749717) ვალდებულია, ქონების სარგებლობის წლიური საიჯარო ქირის გადახდა დაიწყოს სარგებლობაში გადაცემული ქონების ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის შემდეგ.“; განკარგულების პროექტის მე-4 მუხლის დასაწყისში სიტყვა: „ქონების“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვა: „სარგებლობის“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რა თქმა უნდა, მივესალმებით „სიმღერის აკადემიისათვის“ ხელშეწყობას, რადგან ჩვენი ქალაქი ცნობილია, როგორც კულტურის კერა, რა თქმა უნდა, ხელი უნდა შევუწყოთ ახალგაზრდებს იმისათვის, რომ შეძლონ თავიანთი ნიჭის რეალიზება. ჩვენი გუნდი ამასთან დაკავშირებით არ იქნება წინააღმდეგი, რომ აკადემიას გადაეცეს ეს შენობა. კარგი იქნება მეტი საჯარო თუ იქნება საიჯარო პირობები, რამდენ წლიანია და როგორც მივხვდი ეს აკადემია, თავად უზრუნველყოფს ორი წლის მანძილზე სივრცის მოწყობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი:** „20 წლიანია და სივრცის მოწყობას აკადემია თავად უზრუნველყოფს ორი წლის მანძილზე. ორი წელია საშეღავათო პირობები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „ჩვენ თანახმა ვართ ახალგაზრდებს დავუჭიროთ მხარი. მაქსიმალურად ვეცადოთ იმ ახალგაზრდებს, იმ მშობლებს, რომლებმაც ბავშვები უნდა მიიყვანონ იქ, ის პირობები შევუქმნათ, მათი მგზავრობის საფასური იყოს შესაბამისი, არ გაიზარდოს და მოსახლეობას მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ნოემბრის **N134 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N 134** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 15 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურიდან ამოღებულ იქნა უძრავი ქონების დასახელება და გამომდინარე აქედან, განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“; განკარგულების პროექტის პრეამბულის დასაწყისში ჩაემატა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტი; პრეამბულის ბოლოს ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში ჩაემატა საჯარო რეესტრის ამონაწერის საკადასტრო კოდის N03.03.21.747**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გრ.შუშანია, ნ.ბიბილეიშვილი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ნოემბრის **N 135 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N135** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 15 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“. აქვე ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებიდან ამოღებულ იქნა ფრაზა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, ნ.ბიბილეიშვილი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 9 წევრმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, დ.ფხაკაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ნოემბრის **N 136 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N136** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული №21 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებისა და საინვესტიციო ვალდებულების ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 15 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაური (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული №21 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის ცვლილების მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე) შეიცვალა და ჩამოყალიბდა განკარგულების პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად, შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული №21 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებისა და საინვესტიციო ვალდებულების ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“; განკარგულების პროექტის პრეამბულის ბოლოს ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გაიმართა რედაქციულად),**

ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, ნ.ბიბილეიშვილი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 9 წევრმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, დ.ფხაკაძემ.), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ნოემბრის **N 137 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული №21 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებისა და საინვესტიციო ვალდებულების ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N 137** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-5 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების გამო, საკრებულოს რიგგარეშე მე-5 სხდომის მუშაობა დასრულებულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-5 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:48:24 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.